| ვაზეთის ფასი | | | |
|---|---|---|---|
| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


1877—1887 წელიწადი

**გაზეთი „ივერია“ პირველის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.**

ტფილისი, 11 სექტემბერი

გარდა იმისა, რაც გუშინდელ მეთაურში ჩამოვთვალეთ, ჩვენ ყური მოვკარით ერთს აზრს კიდევ ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლების შესახებ. ჩვენს თავად-აზნაურობასაო, ამბობენ, შვილების მომზადება სხვა-და-სხვა სასწავლებელში შესასვლელად მეტის-მეტად უჭირდება და უმძიმდებაო. მთელი სიმრავლე ჩვენის თავად-აზნაურობისა სოფელშია დაბინავებული და იქა სცხოვრობსო. რადგანაც სოფლის ახლო-მახლო არც იმისთანა სასწავლებელია, არც იმისთანა მასწავლებელი იშოვება, თუ არ განგებ ერთის სახლობისათვის დაბარებული, რომ ყმაწვილები მოამზადონ, ამიტომაც ყოველი პატრონი შვილისა იძულებულია ყმაწვილი ტფილისში ჩამოიყვანოს და აქ ვისთანმე აურჩიოს ბინა ცხოვრებისა და სწავლებისაო. ეს გარემოება დიდს ხარჯსა ჰთხოულობს და ამ ხარჯს უმრავლესობა ვერ გასწვდენია და ვერ გასძლოლიაო. მართალია, ჩვენი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ზოგიერთს ბინასაც აძლევს და თავის ხარჯითაც ინახავს, მაგრამ თვითონ სკოლას იმოდენა შეძლება და ღონე არა აქვს, რომ მთელს დიდს გუნდს გაჭირებულებისას გაუძლვეს და მით მალამოდ დასდოს ჩვენს წყლულსაო. მისი ამ მხრით შემწეობა და ხელის მოშველება წვეთია ზღვაშიო და დიდი ნაწილი ჩვენის ყმაწვილებისა შეუძლებელ მშობლების საწვავ-სადაგვად ჰრჩებაო. კარგია ვისაც ღონე შესწევს და წელი მოსდევს ჩამოიყვანოს შვილი ტფილისში და გარედამ ატაროს შვილი სკოლაში, მაგრამ ვაი იმას, ვისაც ეს სახსარიც არა აქვს,—და რამდენია ამისთანაო!..

თუნდაც რომ ღონე შესწევდეს და ბედს ეს სახსარი მიენიჭებინოს მშობელისათვის, მაინც ტფილისში ჩამოყვანა და უცხო ოჯახში გაბარება პატარა ბაშვისა ხშირად უპატრონოდ დაგდებას მოასწავებსო. პატარა ბაშვი, უცხო სახლში გაბარებული, თავის დედ-მამის გულის-ტკივილს და ზედა-მხედველობას მოკლებულია და ამ ყოფაში ბაშვი ამოდენა ქალაქში, სადაც გულ-შემატკივარი მწრთვნელი, დამრიგებელი პატრონი არა ჰყავს, ათას ნაირის განსაცდელისათვის გაწირულიაო. ბაშვი ხშირად ირყვნება, ჰფუჭდება გულით და სულითაო, იმიტომ-რომ უცხო კაცი, რომელსაც იგი აბარია, რაც უნდა პატიოსანი იყოს, იმოდენა დროს და მეცადინეობას ვერ შესწირავს უცხო კაცის ბაშვს, რამოდენასაც დედ-მამა, ან მახლობელი ნათესავიო და რამოდენადაც საჭიროა ბაშვის კეთილ გზაზედ დაყენებისათვის და სულიერად აღზრდისათვისაო.

ეს დიდი მიზეზი, რომელსაც ხშირად მოსდევს წაწყმედა და წახდენა ბაშვისა საბოლოვოდ, იმისაგან არის წარმომდგარი, რომ ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა ტფილისშია, ესე იგი, შორს იმ ადგილებისაგან, სადაც დაბინავებულია უმრავლესობა ჩვენის თავად-აზნაურობისაო. ამისი წამალი ის არის, რომ სკოლა დაუახლოვონ თავად-აზნაურობას იმოდენად, რომ ყმაწვილის შენახვაც სკოლის გარედ შესაძლებელ იყოს უღონოთა და უქონელთათვის და ზედა-მხედაობაც დედ-მამისა, ან მახლობელისა არ იყოს გაბათილებულიო. ამის გამო ამ აზრის გამომთქმელნი ურჩევენ ჩვენის სკოლების გამგეობას, რომ დიდს ქალაქებში, ტფილისსა და ქუთაისში, მოსპონ ეხლანდელი სკოლები, მათი პროგრამა მოსამზადებელ კლასების პროგრამაზედ დააყენონ და ყოველს მაზრის შუაგულს ადგილას თითო მოსამზადებელი სასწავლებელი გამართონ, თუ დღევანდელი ქონება სკოლებისა ამისათვის საკმაო იქნებაო; თუ არა და, იმდენი სასწავლებელი მაინც გამართონ უფრო საჭირო ადგილას, რამოდენასაც დღევანდელი ქონება სათავად-აზნაურო სკოლებისა გასწვდებაო.

რაკი მაზრაში ამისთანა სასწავლებელი იქმნება, იქავ სოფლად მცხოვრებელს თავად-აზნაურობას უფრო ადვილად, უფრო ნაკლების ხარჯით შეუძლიან შვილების შენახვა სასწავლებელში სატარებლად ან ნათესავის, ან მახლობელის სახლში და ამ შემთხვევაში ყველაზედ უძვირფასესი ის იქნებაო, რომ დედ-მამის გულ-შემატკივარის პატრონობისა და ზედა-მხედაობისაგან ბაშვი შორს არ გვეყოლებაო.

ამ აზრსაც თავისი პატივ-სადები საბუთი აქვს და თუ ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლების გამგეობა სჯას იქონიებს მასზედ თუ,—რა გზით და რა გვარად შესცვალოს ეხლანდელი სკოლა, სასურველია რომ ამ აზრსაც ყური ათხოვონ და ანგარიში გაუწიონ. ეს აზრი ჩვენ მიერ გამოთქმულს აზრს არ ეპირისპირება და არ აბათილებს. პირ-იქით, ემოწმება იმას, რომ ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლები მოსამზადებელ სასწავლებლად საჭიროა გადიქცეს და ამისთანა სასწავლებელი რაც შესაძლოა დაუახლოვონ თავად-აზნაურობასა. ეს არ აუქმებს ჩვენს სურვილს, რომ მასთან ერთად ან ერთი საზოგადო სააგრონომიო სასწავლებელიც ვიქონიოთ, ან რამდენიმე და მით საჭირო სწავლა-ცოდნის შეძენის გზა გავუხსნათ იმ ყმაწვილებს, რომელნიც რომელისამე შემთხვევით და მიზეზით სხვა უმაღლესს სასწავლებელში შესვლას ვერ ეღირსებიან ჩვენის მოსამზადებელ კლასებიდამ

## ახალი ამბავი

*** ვბეჭდავთ დეპეშას, რომელიც მიიღო გენერალ-ლეიტენანტმა კ. ქრ. მამაცაშვილმა ბორჯომიდამ 5 სექტემბერს **მათის იმპერატორებითის უმაღლესობისა** დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან.

**ტფილისს**

„გენერალ ფელდცეიხ-მეისტერი და შეფი კავკასიის გრენადერთა საარტილერიო დივიზიისა, რომელშიაც თქვენ იმდენს ხანს იმსახურეთ სახელოვანად, გულითა და სულით მოგილოცავთ თქვენთვის ღირს-შესანიშნავს დღეს! ღმერთმა მრავალს ჟამს კიდევ გაცოცხლოთ და გადღეგრძელოთ!

გილოცავთ აგრეთვე ამ დღეობას დიდი მთავრინა.“ **მიხეილ**

# ფელეტონი

## მთვარიანი ღამე

(მოთხრობა კარმენ სილვასი*)

მთელის დღის განმავლობაში ზარბაზნის სროლის ხმა ისმოდა ვენეციაში, ყუმბარები ზღვაში ცვივოდნენ და წყლის წინწკლები ოთხივ-კუთხივ იფანტებოდა. საღამო ჟამზედ-კი ამ ალაგას სრული სიჩუმე და დუმილი მეფობდა,—ქალაქს ჩასძინებოდა, თითქოს დღევანდელი დღე მშვიდობიანია, აღარა ეფიქრება-რა და ყოველივე საფრთხე საუკუნოებამ შთანთქაო. თვით მთვარეც მისუსტებულიყო, მიმკრთალიყო, თითქოს ამ ალაგსაც ის მთვარე არ ანათებს, რომელიც სხვა ადგილებსაო. ბნელს კუთხეში, ორის დიდის სასახლეს შუა, ქვისაგან გამოკვეთილ სადარაჯოში დაყუდებულიყო მარტოდ-მარტო დარაჯი, უძრავად, თითქოს ქანდაკებაა და არა სულიერი ადამიანიო. ძალიანაც რომ მოწადინებული ყოფილიყო დარაჯი მოძრაობას, ძნელად შეიძლებდა, რადგან სულ ორს ნაბიჯზედ ჰღელავდა და ბობოქრობდა ზღვა, რომლის აქაფებული ზვირთები ბევრი საუკუნეა ეხლებოდნენ კლდის ნაპრალს, მაგრამ ვერა ეზარალებინათ-რა, ვერა დეეკლოთ-რა მისთვის. უეცრად დარაჯი შეინძრა; საკვირველნი მგზავრნი დაინახა, რომელნიც იმისაკენ მიდიოდნენ. ჯერ პატარა ნავი გამოჩნდა; ამ ნავზედ ოთხი ყმაწვილ-კაცი იჯდა და ნიჩბებს უსვამდნენ. თუმცა დიდის ოსტატობითა და ხერხით მართავდნენ ნავს, მაინც ეტყობოდათ, რომ უბრალო მენავეები არ უნდა ყოფილიყვნენ; უფრო ოთხ კეთილშობილ შთამომავლობის ძმებსა ჰგვანდნენ. ეს პირველი ნავი ცარიელი იყო, მაგრამ ამ ნავს უკან გამობმული ჰქონდა მეორე ნავი, რომლის ცხვირზედაც ვიღაც წამოსასხამში გახვეული კაცი იჯდა. ამას გარდა მეორე ნავში საკაცე იდგა.

ვინ იყო და რა იყო? გარდაცვალებული? არა, გარდაცვალებული არ იყო. როცა ნავი მთვარით განათებულს ადგილს მიუახლოვდა, დარაჯმა დაინახა: ეს იყო ახალგაზდა ქალი, რომელსაც ძნელად თუ კიდევ დიდხანს ეცოცხლა ამ ქვეყნად. თვალის ქუთუთოები მაღლა ჰქონდა აწეული და ასე გეგონებოდათ, თუმცა თვალები უხელია, მაგრამ არაფერსა ჰხედავსო. დასასრულ, ხელები, რომელიც გარდაცვალებულსავით გულზე დაკრებილი ჰქონდა, უღუნდებოდა და ვერ დაემაგრებინა. მომაკვდავმა ტუჩებთან მიიტანა ის ხელი, რომელზედაც ბეჭედი ჰქონდა გაკეთებული, ემთხვია ბეჭედს, შემდეგ წაიძრო თითიდგან და გაუწოდა თავის უმცროსს დას, თექვსმეტის წლის წელ-წერწეტა ყმაწვილ-ქალს, რომელიც ნაღვლიანად დასცქეროდა ზემოდგან მომაკვდავს.

შემდეგ ნავი დარაჯს თვალთაგან მიეფარა და აღარა დაუნახავს-რა, თუმცა წყლის შხაპუნი-კი ესმოდა. თითქოს ასე მოჰკრა თვალი, რომ მომაკვდავის ფერ-მკრთალი ბაგენი მოძრაობდნენო, მაგრამ-კი ვერა გაიგონა-რა.

„ფეა, ჩაიჩურჩულა მომაკვდავმა,— ვინ იცის, იქნება უკანასკნელად გელაპარაკები; რკინის გზაზედ ჩემს ხმას ვეღარ გაიგონებ, და როცა შინ მიხვალთ—ცოცხალს ვეღარა მნახავ. გამომართვი ეს ბეჭედი, მიეცი საბრალო ქორჯს,—ნუ ტირი-კი, ჩემო მშვენიერო! ტირილად არა ღირს—და უთხარ: ყოველთვის ამოვიკითხავდითქო შენს მდუმარედ, ხმა-ამოუღებლად მაცქერალ თვალებში შენს ფიქრსა და გულის წადილს, მადლობელი ვარ, რომ მდუმარებდი და თავს არ მაბეზრებდი შენის სიყვარულითათქო. იცოდა, რომ იმის შეყვარება არ შემეძლო, ვერ თანავუგრძნობდი... ჩემს შემდეგ ანდერძად ვუტოვებ იმას, რაც უფრო ძვირფასია ჩემთვის ყველაფერზედ... იმის ბეჭედი! ატაროს ეს ბეჭედი, ნუ დამივიწყებს, იფიქროს ხოლმე ჩემზედ და ამ ფიქრით დასტკბეს, გული მოიოხოს, მაშინაც-კი, როცა გაბედნიერდება. შეხედე, ფეა, ბეჭედის თვალი ისევ ცის-ფერი გახდა იმიტომ, რომ ჩემთვის ჩქარა დადგება ბედნიერი წუთი. ისიც აკი ყოველთვის მეტყოდა ხოლმე: „იცოდე, თუ თვალი ცის-ფერი გახდა, ბედნიერება მოგელისო!“

„გახსოვს, როგორ გამწვანდა, როცა ის სულსა ჰლევდა? ახ, ფეა, გაიარეს, განქრნენ ის სამწუხარო და საუბედურო დღენი. არა, არ მინდა, რომ იმას შემდეგ ვცოცხლობდე-ლა; თვით ღმერთიც-კი არ მომთხოვს ამასა; ჩემს რწმუნებათ ვუმსხვერპლე ყველაფერი, ყველაფერი,—ჩემი სიყვარული და ისა. სიკვდილი სჯობია

*) ამ პატარა მოთხრობის დამწერი კარმენ სილვა არის ნიჭიერი მწერალი ქალი, რუმინიის ეხლანდელი დედოფალი ელისაბედი, რომელიც პრინცის დე-ვიდის ასულია. კარმენ სილვა დედოფლის ფსევდონიმია. სიყმაწვილეშივე დედოფალს ელისაბედს კეთილი და მოწყალე გული ჰქონდა, გულ-წრფელი იყო და დამოუკიდებლობა და თავისუფლება უყვარდა. მეტად მოძრავი, გრძნობიერი ქალი იყო, შრომა უყვარდა და მხოლოდ მაშინ მოისვენებდა ხოლმე, როცა ლექსებს დაუწყებდა წერას. პირველი პატარა მოთხრობა დედოფალ ელისაბედმა მაშინ დასწერა, როცა 14 წლისა იყო. 16 წლისამ კარგად იცოდა ლათინური, იტალიანური, ფრანგული და გერმანული და ამასთან მეცნიერებასაც სწავლობდა. ადრე მიჰყო ხელი დედოფალმა პოლიტიკას. თავის კალმის ნაწარმოებს დიდხანს არა ჰბეჭდავდა ელისაბედი, რადგან მხოლოდ თავისთვისა სწერდა, იმიტომ-რომ თავისი აღელვებული და გრძნობიერი გული დაემშვიდებინა. ბოლოს, როცა გათხოვდა, გაბედა, კოცებუს აჩვენა და რადგან კოცებუმ მოუწონა, გადასწყვიტა—დავბეჭდამო. ლიტერატურაში ელისაბედი განთქმულია განსაკუთრებით თავის არაკებით; ეს არაკები დაბეჭდა და სახელად უწოდა „პელეშას არაკი“. ეს არაკები კარპატის მთების ბუნებამა და კარპატულმა ლეგენდებმა შთააგონა და დასწერა მაშინ, როცა ზაფხულში წავიდა და თავისი ქალი წაიყვანა, რომ წმინდა ჰაერზედ ჯანზე მოვიდეს და მოღონიერდესო. ქალის სიკვდილის შემდეგ დედოფალი ელისაბედი სარწმუნოებით ნუგეშობდა და უფრო მეტად დაუდო თავი ლიტერატურას. ამ არაკებს გარდა, ელისაბედმა დასწერა ფრანგულს ენაზედ ბუხარესტის ერთის საზოგადოებისათვის კომედია შემდეგის სათაურით: „Revenants et Revenus“; აგრეთვე დასწერა ბევრი ენა-მახვილი და ღრმა ფილოსოფიით სავსე აფორიზმები. ეს აფორიზმები დაიბეჭდა პარიჟში ამ სათაურით: „Pendées d'une reine“. ამას გარდა დაჰბეჭდა აგრეთვე „Sappso“, „Hammerstein“ „Uber den Wassern“, „Leidens Erdengang“ და სხვანი მრავალნი. დედოფალი რომ შეიქმნა ელისაბედი, რუმინული ენა შეისწავლა, ხოლო უმეტესად-კი სწერდა და ეხლაც სწერს გერმანულს ენაზედ. საზოგადოდ, ელისაბედის ყველა ნაწარმოებში ჩემი და გულის-მქენჯნავი ნაღველი იხატება; ყოველთვის მწერალს ერთად-ერთი დარდი აფიქრებს: საიდგანა ჩნდება ნაღველი და მწუხარება და რა სარგებლობა მოაქვს, რომ ამ ქვეყნად არსებობსო. მწუხარებასა და ნაღველს ადამიანი ყოველთვის მოთმინებითა და შრომის-მოყვარეობით შეიმსუბუქებსო. დღევანდელი ჩვენ მიერ ნათარგმნი მოთხრობა დიდი ხანი არ არის, რაც დასწერა ელისაბედმა. რუმინიის ერი ელისაბედს დიდად თაყვანსა სცემს, იმიტომ-რომ კეთილის და მოწყალე გულისაა და გაჭირებულთა შემბრალებელი, და ამბობს, რომ ელისაბედი ჩვენი პოეტია, მშობელი დედაა და დედოფალიო.

ამ დეპეშის მიღების უმალვე გენერალ-ლეიტენანტმა მამაცაშვილმა გაუზავნა მის უმაღლესობას დეპეშა:

„მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს გენერალ-ფელდმარშალს.

**ბორჯომს**

დიდად ბედნიერი ვარ, თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ, რომ მაღირსეთ ასეთი ჩემთვის მეტად თავმოსაწონი დეპეშა და მომილოცეთ დღე ჩემის 50 წლის სამსახურისა ჯარში. თქვენმა მოწყალე სიტყვამ რამდენიმე წელიწადი სიცოცხლე კიდევ მომიმატა ამ ჩემს მოხუცებაში. სალამი მის იმპერატორებითის უმაღლესობისა დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულისა ჩემის იუბილეის გამო იმის ნიშანია, რომ ჩემი მწყალობელია თქვენი უავგუსტოესი სახლობა, რომელსაც ყველასთან ერთად მეც დიდად ვაფასებ და ღრმად პატივსა ვსცემ.

გულითა და სულით ვისურვებ დღეგრძელობას როგორც თქვენის იმპერატორებითის უმაღლესობისა, ისე თქვენის თანა-მემცხედრესათვის და თქვენის უავგუსტოესს ძეთათვის."

გენერალ-ლეიტენანტი
მამაცაშვილი

*** ვინც ნახა ამ ხუთის წლის წინად ცხოველი სურათები „ვეფხვის-ტყაოსნისა“ იმას დავიწყებული არ ექნება სახელი მხატვრის ზიჩისა, რომელიც მაშინ ტფილისში იყო და რომლის მეცადინეობით და ხელმძღვანელობით გაიმართა ზემოხსენებული სურათები უკვდავის პოეტის მოთხრობიდამ. ამ მხატვრის სახელი რამდენისამე თვის შემდეგ მთელს საქართველოს მოეფინა, იმიტომ-რომ მალე დაიბეჭდება მდიდრული „ვეფხვის-ტყაოსანი“, რომლის სურათებიც მიხეილ ზიჩის დახატულია. ზიჩიმ დაჰხატა ეს სურათები და უსასყიდლოდ მოუძღვნა „ვეფხვის-ტყაოსნის“ მბეჭდველს კომიტეტს. დღეს ამ მხატვარის 40 წლის მოღვაწეობის იუბილეია. 40 წელი შესრულებულა ამას აქედ, რაც ზიჩი რუსეთის სამეფო სასახლის კარის მხატვარია ზიჩი ბევრს შრომობდა და შრომობს დღესაც სასახლისათვის. მაგრამ სავალდებულო სამუშაოს გარდა, ნიჭიერი მხატვარი იმდენს დროს კიდევ შოულობდა, რომ ბევრს სხვა საქმესაც ასწრობდა. ავსტრიის გაზეთები ამბობენ, რომ ზიჩიმ დაუხატა ამას წინად სურათები ავსტრიის მემკვიდრე პრინცს რუდოლფს იმ თხზულებისათვის, რომელიც ამ ბატონიშვილს დაუწერია ავსტრი-ვენგრიაზე ამავე ზიჩიმ დაჰხატა მრავლად სურათები. ერთის ქართულის მდიდრად დასაბეჭდის მოთხრობისათვის, რომელიც მე-XI საუკუნეშია დაწერილი და რომელსაც ეწოდება „ვეფხვის-ტყაოსანი“, სურათები მეტად მშვენიერია. ეს სურათები მხატვარმა უსასყიდლოდ დაუთმო იმ კომიტეტს, რომელიც მდიდრად ჰბეჭდავს ტფილისში სურათებიანს „ვეფხვის-ტყაოსანს“, ამ ფრიად შესანიშნავს თხზულებას, როგორც ლიტერატურის ისე ლინგვისტიკის მხრივ".

*** ძველ-დამოქნის ქუჩის მცხოვრებნი სჩივიან თავიანთ შევიწროებას იმის გამო, რომ რაც აგვისტოს ნიაღვრებმა ჩახრამეს და გააფუჭეს ეს ქუჩა ბარათაშვილისეულ სახლთან, მას აქედ ჯერ ისევ ხელ-უხლებელია და არავის შეუკეთებიაო. ამ ადგილებში თვით ეარანცოვის ქუჩა თითქმის ორს საჟენზედ შევიწროვდა, რის გამოც ცხენის რკინი გზა ქვეითკენ ვეღარ დაიარება. ამ ჩახრამულ ადგილზე უკანასკნელი თორმეტი ურემი შიშისა და თვისა გადაბრუნებულა და დამტვრეულა, სხვა რომ არა ითქვას-რაო. ამიტომ დროა მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს, და გაიწმინდოს ქუჩა, რომ რკინი-გზამაც იმუშაოს და ხალხსაც ადვილი მისვლა-მოსვლა ჰქონდეს ურმით თუ სხვა ეტლებითაო.

*** ტფილისის ყოველ მხრიდამ და მუდამ დღე მოგვდის საჩივარი ცხენის რკინი-გზის მოხელეთა უწესოებაზე. ხალხის სრესას ხომ სამზღვარი არა აქვს და ისიც-კი ვერ მოუხერხებიათ, რომ წვრილ მანებში მაინც რიგიანობა ჩაიდინონ. მაგალითად, ორთაჭალის ლიანდაგზე ბევრჯელ ისეთ დაღლილ ცხენებს შეაბმენ, რომ ვაგონი უნდა დაუდგეთ ხოლმე და ძლივ-ძლივობით გადაავოგონ რელსებზე; ხან ვაგონები უნდა გადმოუვარდეთ რელსებიდამ და ბიჭ-ბუჭა კონდუქტორებმა მიწა-მიწა ათრიონ, თუმცა შესაძლებელია მაშინვე გააჩერონ ხოლმე ვაგონი და ისევ შეაყენონ თავის ადგილზე. იშვიათიაო, ამბობენ, რომ უხიფათოდ გაიაროს კაცმა რიყიდამ მოკიდებული ორთაჭალამდე. ამიტომ უმეტესად ამ მანძილს ანდომებენ თითქმის ნახევარ საათს, თუმცა ორჯელ უფრო ჩქარა შეიძლებოდა მისი გავლა.

*** კიდევ ერთი ამბავი ცხენის რკინი-გზის თაობაზე. 11 სექტემბერს თამამშოვის ქარვასლასთან რომ სადგურია ამ გზისა, იქიდამ ცხენებმა მოიტაცეს ვაგონი, რომელშიაც ისხდნენ მგზავრნი, და გააქანეს სასახლის ქუჩაზე. არც კონდუქტორი და არც „კუჩერი“ არ ისხდნენ ამ დროს ზედა. შიგ მსხდომნი ძალიან შეშინდნენ. ერთმა ქალმა სტაცა ხელი «ვოზჟებსა» და თუმცა მაგრა ეჭირა, მაგრამ ვერ დაიმაგრა ცხენები და ვერ შეაყენა ვაგონი. სასახლესთან, როგორც იყო, ერთმა პოლიციის მოსამსახურემ მოასწრო, შეხტა ვაგონზე, მოატრიალა ტორმაზი, ძლივს წვალებით გააჩერა ვაგონი და დაამშვიდა შეშინებული ხალხი.

ეს ამბავი მოხდა იმის გამო, რომ „კუჩრები“ გადმოდიან ვაგონიდამ სადგურებთანა და დრომდის მიანებებენ ხოლმე ცხენებს თავსა. კიდევ კარგია, რომ ასე იეფად გადურჩნენ შიგ მსხდომნიც და სხვა მოსიარულენიც ამ ქუჩაზე, თორემ ვინ იცის, რა უბედურება მოხდებოდა უპატრონობისაგან!..

*** ჩვენ მოგვივიდა სია ქართველ ყმაწვილებისა, რომელნიცა სწავლობენ ოდესის სასულიერო სემინარიაში. იქა ყოფილა სულ ექვსი ქართველი შეგირდი. აი იმათი გვარები: აფრიდონიძე, ბასილაშვილი, მაღრაძე, ჩაჩანიძე, ბარამიძე და ქორდანია.

*** მინდვრის ოსებში თურმე თან-და-თან ვრცელდება გადამდები სენი. მაგალითად, სოფ. ბათაყოშიც გაჩნდა ყელჭირება და მუცელა; სოფ. ხუმელაგაში ჯერ-ჯერობით მარტო მუცელაა გაძლიერებული, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ყელჭირებაც მალე ეწევაო, საუბედუროდ, რადგან ლამის მთელი მინდვრის ოსთა სოფლებს მოედოს ერთიც და მეორე სენიც იმის გამო, რომ პატრონი არავინ არის, ხელი შეუშალოს ამ სენის გამძვინვარებასაო.

*** კავკავიდამ: ოთხს სექტემბერს სოფ. ელხოტში ერთმა ჩერქეზმა და არიყელმა ოსმა მოჰკლეს ერთმანერთი. აი ეს საქმე როგორ იყო: არიყელი ოსი გვარად ცორაევი ყარაულად იყო ჩერქეზის ცხენის ჯოგში ელხოტის მინდორში. ოსი ცორაევი თურმე ცხენსა ჰხედნიდა და ამ დროს ჩერქეზი იქ შეესწრო. ცორაევი გაიტაცა ცხენმა და ჩერქეზს მიაწყდა. ჩერქეზმა შემოუტია ცორაევს, იქით წაიყვანე ცხენიო.— „ჰაუ, ორსული დედაკაცი ხომ არა ხარ, იქით მომეცალე, ხომ ჰხედავ ხამი ცხენი არისო“, უპასუხა ცორაევმა. ამაზედ შელაპარაკდნენ და მათრახით სცემეს ერთმანერთს. ცემაში ცორაევმა აჯობა ჩერქეზს; ჩერქეზი გაჯავრებული წავიდა შინ და თავის ძმას უთხრა ეს ამბავი. ჩერქეზის ძმამ დამბაჩა გაირჭო წელში, შეჯდა ცხენზედ და გამოუდგა ცორაევს მოეწია და დაუძახა, დადექიო. ცორაევი მოუბრუნდა და უპასუხა: „რა გინდა, რას მომდევ? შენმა ძმამ მცემა და მეც ვსცემე; თუ მეტი დაარტყი მათრახი შენ ძმას, მოდი და რამდენიც მეტი დაკარი, იმდენი შენ მე დამკარიო.“

ჩერქეზმა გაიძრო დამბაჩა, დასცა ცორაევს მუცელში და გაიქცა. ცორაევს თუმცა ნაწლევი გადმოჰკიდებოდა და თქრიალით სისხლი გასდიოდა, მაგრამ მაინც გამოუდგა და დაუძახა: სად გარბიხარ! თუ დედაკაცი არა ხარ, ზურგი ნუ შემომაქციე, პირი-სახე დამანახვეო. ჩერქეზი მაინც გარბოდა. ოსმა გამოიღო ბერდანის თოფი და ორჯელ ზედი-ზედ მიაყოლა ტყვია. ჩერქეზს ტყვია ერთი წელში მოხვდა და მეორე—ცოტა ქვემოდ. ჩერქეზი წაიქცა. ცორაევს გაქცევის თავი აღარა ჰქონდა და დაჯდა იქვე ბერდანით ხელში. ჩერქეზები მოგროვდნენ, მაგრამ ვერავინ მიჰბედა ოსსა, რადგანაც უკანასკნელი ეხვეწებოდა: „თუ ღმერთი გწამთ, ვისიც არა მმართებს-რა, ახლო ნუ მოხვალთო“. ბოლოს ხალხის არეულობაში უკანიდგან მიეპარა ორი ჩერქეზი და, თუმცა ერთი მათგანი კიდევ დასჭრა ცორაევმა, მაინც აკუწეს

---

იმას, რომ კაცმა თავის რწმუნებათ უღალატოს და უარ-ჰყოს იგი. ღმერთმა შემიბრალა და წაიყვანა თავისთან ის, არ უნდოდა, რომ უბედურად, შესაბრალისად გამეტარებინა ეს წუთი-სოფელი."

მომაკვდავს ხველა მოადგა და სიტყვა გააწყვეტინა. შემდეგ კვლავ განაგრძო აჩქარებით და ხშირად ისე დაუდაბლებდა ხოლმე ხმას, რომ სიტყვებსაც-კი ძნელად გაიგონებდა ადამიანი. უნდოდა ყველაფერი აღმოეთქვა, რაც გულს უმძიმებდა და ზედ აწვებოდა, იმ დრომდე, ვიდრე მატარებელში ჩასხდებოდნენ, რომლის ჯახჯახიც ბოლოს მოუღებდა ქალის ლაპარაკს.

„ხელი მამაშველე, ფეა, თორემ ასე მგონია, რომ ნავიდგან ზღვაში, ამ უძირო და ცივს ზღვაში, ვარდებიმეთქი. ჩემი ერთად-ერთი სურვილი ის არის, რომ აქავე ამომივიდეს სული, მაგრამ ღმერთი ამ მოწყალებას არ იმეტებს ჩემთვის. იქნება ამ მგზავრობამ ჩემი ამ ქვეყნად გამოსალმება აჩქაროს და განთავისუფლდე დაუსრულებელ ტანჯვა-წამებისაგან. მერე, აგერ რამდენი ხანია, რაც ჩემს სიკვდილს ველით ყველანი. ხუთი თთვე, სრული ხუთი თთვე ვიტანჯები და ვეწამები! იცი, ფეა, როცა გემით იმის უსიცოცხლო ყვავილებით მორთული გვამი მოიტანეს, გულმა გამიწყია, მინდოდა წინ მივეგებებოდი და დამეძახნა:

— ჩემია, ჩემი, მე მეკუთვნის მას შემდეგ, რაც სული განუტევა! მეც მაგახთან ერთად მინდა დავიმარხო და გულზედ მიწა დავიყარო!-მეთქი.

„მაგრამ მაშინაც-კი მე არ მეკუთვნოდა, არავითარიმე უფლება არა მქონდა დამეჩემებინა იგი, რადგან სიკვდილამდე სხვისა იყო. ამიტომაც დავდუმდი, თავს ძალა დავატანე, თორემ იტყოდნენ, ალბად უღალატნია ამისათვისაო. მოვკვდები და ჩემის სიკვდილით დავისაკუთრებ იმას, დარწმუნებული-კი ხარ, ფეა, რომ, სიკვდილს შემდეგ უეჭველად მე მეკუთვნება? და იმას-კი, მეორე დედაკაცს, უფლება აღარ ექმნება, რომ დაეპატრონოს?

„გახსოვს, ფეა, ყოველთვის ვამბობდი ხოლმე: იმის ქორწილის დღეს კარგად უნდა მოვირთო, რომ უსაქმო ხალხსა და ენა-ჭორიკანებს მასალა არა ჰქონდეთ-რა-მეთქი. უეჭველად მინდა ის ქალი ენახო, რომ დავრწმუნდე, შეუძლიან იმის გაბედნიერება, თუ არა-მეთქი?

„ეხლა ყველა ამ ამბავმა გაიარა. ერთად-ერთი ჩემი მაღალი და წმინდა სიყვარული-ღაა ცოცხალი და იგიც ერთისა, ან ორის საათის შემდეგ ჩემთან ერთად აღიმართება ცად მიმართ."

მთვარეს ბადრად გაენათებინა გამხდარი და საიმქვეყნოდ განმზადებული ნაკვთი ყმაწვილ-ქალისა; ეს ქალი ამ დროს იმ წმინდა სანთელსა ჰგავნდა, რომელიც დამწვარა სრულიად, მაგრამ მაინც კიდევ ბჟუტავს, რადგან წმინდა და გამჭვირვალე გვერდები ჯერ არ დასდნობია.

„ღმერთმა არ ინება, რომ ჯვარ-წერას დავესწრებოდი, ან რა საჭირო იყო ჩემთვის იმ ქალის ნახვა. როცა ის გარდაიცვალა, ქალი ძალიან ნაღვლობდა და ზედ დასტიროდა. მე ტირილი არ შემეძლო, ხოლო სამაგიეროდ აი, ვკვდები. ქალს მეტად და მეტად უყვარდა ქმარი, ხოლო იმას, იმასაც უყვარდა ისა? როცა იმან მე ბეჭედი მაჩუქა, ორივემ ძალიან კარგად ვიცოდით, რომ ერთმანერთის სიყვარული არ შეგვეძლო და მეგობრებად შევიფიცენით, სამუდამო, საუკუნო და წმინდა მეგობრებად. ვცდებოდით, მაგრამ ჩვენ თვითონ-კი არ გვესმოდა ჩვენი შეცდომა. იმათ, იმათ-კი შეუფიცნიათ როდისმე, რომ საუკუნოდ გვეყვარება ერთმანერთიო? თუ შეუფიცნიათ, ისინიც შემცდარან, ხოლო ისე-კი, რომ ორივეს სცოდნიათ, სმენიათ ეს შეცდომა. იქნება, ვინ იცის, არც ის იყო და არც ესა? უყვარდა, თუ არა იმას ის ქალი? შეიძლება, რომ კაცმა ორჯელ გამოსცადოს სიყვარული, ფეა?"

კვლავ ხველა აუტყდა მომაკვდავს და უმცროსის დის ხელ-სახოცი სისხლით შეიღება. ამ სისხლს მთვარის შუქზედ შავი ფერი ჰქონდა.

„ოჰ, ფეა, ნუ ტირი, რა დაგემართა! გიხაროდეს, რომ ვკვდები და ტანჯვას მოვრჩები. იმ თავითვე უბედური ვიყავი, იმდენი დღე გავატარე უსიხარულოდ, უსიამოვნებლად, იმდენი ვიცბიერე და უკმაყოფილება და მწუხარება გამოვიარე. ერთად-ერთი რამ მაბედნიერებდა და ეს ბედნიერება ის იყო!.. შემდეგ. ისევ ბნელი, წყვდიადი ღამე დამიდგა. ამიერიდგან-კი საუკუნოდ, საუკუნოდ გამითენდება და ბედის მზე გამომინათებს. ოჰ, ფეა, ნუ ტირი, რა არის, ნუ-კი იცრემლები, უნდა გიხაროდეს! ნუ თუ იმდენად არის მაინც არ გიყვარვარ, რომ ჩემი ბედნიერება გესიამოვნებოდეს? სიტყვა მომეცი, რომ დაელევ თუ არა სულს, „გმადლობ, გმადლობ, დამბადებელო!“-ს წამოიძახებ.

„მე რომ ძალი და ღონე შემწევდეს, ალლილუიას ვიგალობებდი ისეთის ხმით, რომ ამ ხმაზე თვით ზღვაც-კი ამეტირებინა და გრძნობაზედ მომეყვანა. მე ცა დავიმსახურე ჩემის გამოუთქმელის და აღუწერელის ტანჯვა-მწუხარებით. ვხედავ, რომ ზეცა გარღვეულია ჩემდა დასახვედრად, ჩემდა შესაერდომებლად. შენ არა გწამდა, არა გჯეროდა, თუ ისე მეყვარებოდა ისა, რომ ამ სიყვარულს თან გადავყვებოდი კიდევაც. მაგრამ შენ ჯერ ახალგაზდა იყავ და სიყვარულისა არა გაგეგებოდა-რა! თუ ოდესმე შეგიყვარდეს ვინმე, ამ სიყვარულს დაუმონე მთელი შენი ფიქრი, გონება, გრძნობა. თუ ამ სიყვარულმა გინაცვალა და მსხვერპლად შეგიწირა, არა უშავს-რა, თავის ამ ქვეყნიურს დანიშნულებას აღასრულებს, და ეს იქნება. მანამდე-კი ჰზრუნავდე, გული შეგტკიოდეს აი იმ მოხუცისათვის, რომელიც იქა დგას; ჩემი ალაგი შენ დაიჭირე, იყავი იმ მოხუცისა და ჩვენის ძმებისათვის ის, რაც მე ვიყავი. წინ გაუძეღ, მიეც მაგალითი, ანუგეშე და მეგობრობა გაუწიე! თავს ნუ იქნევ; ვიცი, რომ შეგიძლიან. მხოლოდ ეხლა დაუძლურდი, თორემ მე შენი გამძლეობა და თავდარიგიანობა ჩემს ხანგრძლივს ავადმყოფობაში გამოვცადე. ისინი ჩემს სიახლოვეს ჩვეულ არიან, ეცადე, რომ ჩემი არ-ყოფნა არ შეამჩნევინო. მე შეუმჩნევლად შენთან ვიქმნები და გაგამხნევებ. შენ უნდა დამიხუჭო თვალები!.. შეგიძლიან, რომ ეს სათხოვარი აღმისრულო? განა, რომ აღმისრულებ? შენ ყველაფერს შეიძლებ. ყველას მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ მამისა, ძმებისა და ყველა ჩვენის ერთგულ მსახურებისა. მე ყველასათვის ვლოცავ და ყველას ღმერთს შევავედრებ."

ნავი ნაპირს მიადგა. მწუხარედ გამოიყურებოდა რკინის გზის მაღალი სადგური და თავის ჩრდილით აბნელებდა მოსიარულეთა და ამ მგზავრთ. მომაკვდავს თეთრად უჩანდა მხოლოდ პირი-სახე და ხელები-ღა, რომელნიც გულზედა ჰქონდა დაკრებილი. თვალები მირულული ჰქონდა. საკაცე ოთხს ძმას მიჰქონდათ; უკან მისდევდა მამა, უმცროს ქალის მხარზედ დაყრდნობილი; საბრალო ქალს ნაზი სახე ჰქონდა, ღრმად გამომეტყველი თვალები, რომელიც ცრემლისაგან არ უშრებოდა. მამას სახე არ უჩანდა, თავჩაღუნული მისდევდა მომაკვდავ ქალს. ასე მიდიოდნენ ჩუმად, მდუმარედ, ხმა-ამოუღებლივ. გამვლელ-გამომვლელთ ასე ეგონათ, რომ საკაცეზედ გარდაცვალებულია დასვენებულიო, და ქუდს იხდიდნენ, პირჯვარს ისახავდნენ...

ორ-ანი

ლუკმა ლუკმა ეს ორი. გამომძიებელი და ბოქაული მეორე დღესვე მოვიდნენ და გამოძიებას აწარმოებენ ეხლა.

*** „Московскія Вѣдомости" იუწყება, რომ ამ უკანასკნელს ხანებში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს იმაზედა აქვს სჯა, თუ რა რიგად დაასრულონ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიათა ხიზნების საქმე. სამინისტროში უკვე შესდგომიან ხიზნების საქმის შესახებ ცნობების განხილვას; ამასთანავე უნდა განიხილონ ის პროექტი, რომლის ძალითაც ხიზნებს ადგილ-მამული უნდა მიეცეს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქვემო-მაჩხაანი. (სიღნაღის მაზრა), 6 სექტემბერი. 31 აგვისტოს სოფ. მაჩხაანის თემი იყო შეკრებილი სამართველოს წინ და მოელოდა მაზრის უფროსს. აგერ მოვიდა უფროსიც, ჩამოხდა ცხენიდამ და გადაავლო თვალი შეკრებილ ხალხსა. ხალხმაც მოუხადა ქუდი და თვალებ-დაცეცებული შეჰყურებდა უფროსს. ყველამ იცოდა, რომ აი ეხლა უნდა გადაწყდეს ჯარში მოწოდებულთა ბედი და იღბალიო. უნდოდათ ყოველივე, რასაც მაზრის უფროსი გამოაცხადებდა, დაწვრილებით შეეტყოთ. მაზრის უფროსმა გამოუცხადა, რომ ესა-და-ეს შეღავათი ეძლევათ ჯარში მოწოდებულ პირთაო. ხალხს წაუკითხა მოწოდებულთა სია; წაკითხვისავე დროს ეცხადებოდათ, ვის რა შეღავათი ეძლეოდა და ვის უნდა უთუოდ ჩამოეტარებინა კენჭი. მოწოდებულ იყვნენ 23 კაცი; ამათში სამს ეძლევა პირველის ხარისხის შეღავათი; ესენი კენჭს სრულებით არ ჩამოატარებენ. ოთხს-კი ეძლევათ მეორე ხარისხის შეღავათი; ამათ კენჭი უნდა ჩამოატარონ. სხვათა შორის მაზრის უფროსმა გამოუცხადა, რომ ექვსმა საზოგადოებამ: მალარომ, ბოდბემ, ბოდბის-ხევმა, ქვემო-მაჩხაანმა, ზემო-მაჩხაანმა და მირზაანმა უნდა გაიყვანონ წელს სულ ოცი კაციო. უფროსი იმედეულობდა, რომ ამ რიცხვს შეავსებენ სხვა პირნიცა; მათი დაკლება ოჯახს ძალიან დიდს შევიწროებას არ მიაყენებსო.

შემდეგ ამისა უფროსმა გამოუცხადა ხალხს, რომ ახლად ამორჩეული მოხელეები უმაღლეს მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნენო. მოუწოდა ძველ და ახალ მოხელეთ. პირველთ ჩამოართვა მოხელეების ნიშნები და გარდასცა ახლებსა. ამ ამბავზე ხალხს სიამოვნების ფერმა გადაჰკრა. ყველას დაეტყო რაღაც სიხარული. ახლა-კი დაირღვა სიჩუმე—ყველა მადლობას უძღვნიდა მთავრობას ახალ მოხელეების და მომეტებულად ახალ მამასახლისის, ივანე ჯანყარაშვილის, დამტკიცებისათვის. რაც მამასახლისობა დაიწყო ქიზიყში, ხალხი მარტო ეხლა ეღირსა თავის მხრით ამორჩეულ მამასახლისის დანახვასა. მოგეხსენებათ, რომ სოფელში არ დაილევა რამდენიმე გაიძვერა კაცი, რომელთა რიცხვი ქვემო-მაჩხაანში არ არის მცირე. ეს გაიძვერა კაცები აქამდის ყველაფერს აჩერხებდნენ. ამათ ხელში იყო სოფლის ბედი და უბედობა და ამათ წინ კრინტსაც ვერავინ დასძრავდა. ესენი ირჩევდნენ ისეთს კაცს, რომელიც მარტო მამასახლისის სახელს ატარებდა და ნამდვილი მამასახლისები-კი თვითონ ეს გაიძვერები იყვნენ. ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება და უწესოება ხდებოდა მათ ხელში და აქვე იმალებოდა, ასე რომ არც სოფელმა იცოდა მათი გარემოება და არც მახლობელმა მთავრობამ. აი ამ გაიძვერა კაცებს გაუხეთქა გული ივანე ჯანყარაშვილის მამასახლისად დამტკიცებამ; მათ ძალიან კარგად იციან, რომ პირში ლაგამი ამოედებათ და უწინდებურად ვეღარ მოახერხებენ სოფლის დაჩაგვრას. საჭიროდ არა ვრაცხ ჩამოვუთვალო მკითხველს სანიმუშოდ, თუ როგორი საქმეები ჩაუდენიათ ამ გაიძვერებს, რადგან ვისაც უნახავს ჩვენის სოფლების ცხოვრება, თითონაც კარგად ეცოდინება ამ გვარ კაცების ოინები. მთელი სოფელი დარწმუნებულია, რომ ახალი მამასახლისი დიდ ყურადღებას მიაქცევს გაიძვერათა ყოველ გვარ მოქმედებას და არ მისცემს ნებას ისე თავისუფლად შეაწუხონ ხალხი, როგორც აქამდინ აწუხებდნენ.

წარმოიდგინე, მკითხველო, რამდენად სასურველია, რომ იმედმა არ უმტყუნოს სოფელს და ეს ახალი კაცი, ცნობილი მომხრედ მართალთა და დაჩაგრულთა, მკვიდრს გზას დაადგეს და არ უღალატოს ამ გზასა.

გინმე

სოფ. ბერთუბან-პატარძეული (იერის ხეობა), სექტემბრის 6-ს. დღევანდლამდის ბერთუბან-პატარძეული სამართლიანად ისეთ სოფლადა ითვლებოდა, სადაც ავაზაკობა, ავ-კაცობა სიზმრებშიაც არ იყო, მაგრამ ეხლა-კი თვით გამხდარა ავაზაკების ნამდვილ ბუდედ. თუ აქამდის ქურდობა, ავაზაკობა იშვიათი იყო, დღეს იგი სამაგიეროდ ძალიან ხშირია: ქალის მოსატაცებლად სახლში შევარდნა, დუქნის გატეხა, ბაგიდგან ცხენის, ძროხის და ხარ-კამეჩის გაყვანა, პარვა აგრეთვე ღვინისა და პურისა, ტყიდგან იარაღისა, ვენახიდგან ყურძნისა და საზინდისა დღეს ჩვენში ძლიერ ხშირია და ჩვენც, ჩვენდა საუბედუროდ, ისე შევეჩვიეთ ყური და თვალი ამ გვარ დანაშაულობათა, რომ აღარც გვეშინიან, აღარც გვიკვირს და აღარც ვუფრთხილდებით. ამავე გარემოებას შევნიშნავთ იერის ხეობის სხვა სოფლებშიაც. შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ ავაზაკობა-ქურდობის გავრცელების მიზეზი სოფლის მოხელეთა უზრუნველობააო, მაგრამ ამ ნაირი აზრი სწორედ რომ უმართლოა. ყველანი ვხედავთ, თუ როგორ გულ-მოდგინედ სდევნიან მოხელეები ავაზაკებს, კიდევაც იჭერენ, სჯიან, მაგრამ ავ-კაცობას ბოლო არ მოუღო. ამას წინად პატარძეულის მამასახლისმა ი. მუხიაურმა დაიჭირა მინდორში რამდენიმე ქურდი, რომლებმაც თავ-პირი დაამტვრიეს ერთს გლეხს.

იმას თუ იკითხავთ, ქურდ-ავაზაკები ვინ არიანო, ამაზე მოგახსენებთ, რომ ანდაზა „მგელს მგლობა ერქვა, ტურამ შეუსხა ამოაგდოვო" სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. დაუჯერნიათ, თათრები-თათრებიო, და ჩვენმა მეზობლებმა-კი ქურდობასა და ავაზაკობაში მეღალნო-თაქლა-ყარაჯალელ თათრებს გადააჭარბეს. მართალია, თათრებიც-კი გვკლებენ ხოლმე, მაგრამ, მგონი, თან-და-თან გვივიწყებენ (ღმერთმა ქნას), და შინაური ქურდები-კი ღამეს არ გადაასცილებენ, რომ არა იმსხვერპლონ-რა. ეს შინაური ტურები აცირებულს ოსტატობას ხმარობენ ქურდობის დროს. ჩემის თვალით ვნახე, თუ ღამის პირველ საათზედ როგორის ხმაურობით და სიცილით ამოატარეს ერთი ნაქურდალი ცხენი. რას მოვიფიქრებდი ან მე, ან სხვა, თუ ნაქურდალს ცხენს ღამის რაინდები ხმაურობით და სიცილით სოფელზედ ამოატარებდნენ. ვითომ რა არის და არავინ იფიქროს, რომ ქურდები ვართო და ქურდულად მიგვყავს ცხენიო. მეორე დღეს დაიძახეს, რომ ამა-და-ამის, გ. ს., ცხენი წუხელ ბაგიდგან გაეცლებს აუშვიათო. ამ ქურდობას ზოგნი შინაურებს აბრალებდნენ, ზოგნი-კი—თათრებს; მე კი ჩემის თვალით ვნახე, რომ ისინი ქართველები იყვნენ, ჩემის ყურით გავიგონე მათი ქართული ლაპარაკი და ის ცხენიც ვიცანი, რადგანაც რამდენჯერმე ვმჯდარვარ იმაზედ. როგორც ცხინვალისაკენ გადაყენებულის მღ. კალმახელიძის სახელით ავაზაკობენ, ჩვენშიაც თათრების სახელით ჩვენივე მეზობლები, ან ახლო-მახლო სოფლის ჯეელები ჯეელობენ. როგორც ზევით მოგახსენეთ, ღამე არ გავა, რომ გულ-საკლავი და შემაძრწუნებელი ამბავი არ მოხდეს ჩვენში. ერთის სიტყვით, ერთი საბძლების და თივების დაწვა-და გვაკლია.

ნიკო ლ—ძე

# უცხოეთი

დღესაც ბოლგარიის საქმე იმავ აწვდილ მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც იმყოფებოდა წინად. ხშირია იგივე მიწერ-მოწერა, ბაასი, ცირკულიარები, მოლაპარაკება, მაგრამ საქმე მაინც ვერ დასრულდა. აი, რამდენი ხანია ეს საქმე სწარმოებს, რამდენი ხანია მასზე გარჯიშობს ევროპის დიპლომატია, მაგრამ, როგორც სჩანს, სახელმწიფოთათვის, თუ სრულიად შეუძლებელი არა, ძალიან ძნელია იმ საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტა. ვინც თვალ-ყურს ადევნებდა ამ ორის წლის განმავლობაში ბოლგარიას, უეჭველია, შეგნებული აქვს, რომ ბოლგარიის საქმეს სხვა უფრო საძნელო, რთული საგანი უნდა მოჰყვეს, რომელიც დიდს გაჭირებაში ჩააგდებს ევროპას. თუმცა თითქო ყველანი მოწადინებულნი არიან მშვიდობიანობა დაიცვან, მაგრამ საქმეთა მსვლელობა თავისას სჩადის, იმ ძნელს, რთულს საგანს დღითი-დღე პირ-ბადე ეხდება, და ევროპა გულის მგერით შესცქერის. ამიტომაც თვით ბოლგარეთის საქმე ეხლახან იმოდენად საინტერესოდ არ მიაჩნიათ, რამდენადაც საინტერესოა თვით ის საგანი, რომელიც უნდა მოჰყვეს ბოლგარეთის საქმის გადაწყვეტას. ერთის სიტყვით, ბოლგარეთის საქმეს ყველანი უყურებენ ვითარცა საბაბს, მიზეზს იმ ძნელის, რთულის საგნისას. მართლადაც და ასე უნდა იყოს, რადგანაც თვითოეული სახელმწიფო თავ-თავისს საჭიროებას, ინტერესებს მისდევს, და ბოლგარეთში-კი ყველა სახელმწიფოთა ინტერესები გადაბმულა, გადახლართულა.

თუმცა ბევრსა სწერდნენ იმაზე, თუ როგორ დაახლოვდნენ სახელმწიფონი ბოლგარეთის საქმის გამო, მაგრამ გადაწყვეტილი არა ვიცით-რა იმის თაობაზე, თუ ვინ ვის მიემხრობა... დღემდის დაბეჯითებით არ ვიცით, თუ საითკენ გაიწევა გერმანია.

ამ უკანასკნელს დღეებში ფრიდრიხსრუეში ერთად შეიყარნენ მოსალაპარაკებლად ავსტრიის უცხო საქმეთა მინისტრი, გრაფი კალნოკი, და ჰერბერტ ბისმარკი, სტატ-სეკრეტარი გერმანიის უცხო საქმეთა სამინისტროსი. რაზე უნდა ილაპარაკონ ამ ორ წარმომადგენელთ, ნამდვილად არავინ იცის. ზოგნი იმ აზრისანი არიან, ვითომ გერმანია და ავსტრია უნდა მორიგდნენ იმის თაობაზე, რომ პრინცი ფერდინანდი გააძევონ ბოლგარეთიდამ, შესწირონ იგი რუსეთსა, და ამით აცილონ ევროპას საერთო ომი. ეგეთი აზრი იმაზეა დამყარებული, რომ ბისმარკის გაზეთი ამ ბოლო ხანებში სრული თანხმაა რუსეთის პოლიტიკისა და ფერდინანდის წინააღმდეგ ჰქადაგებს. მაგრამ შესაძლოა ისიც იფიქრონ, რომ კალნოკი და ბისმარკი მოილაპარაკებენ ავსტრიისა და გერმანიის კავშირსა და საერთო მოქმედებაზე, მასზე, თუ რა გვარად იმოქმედონ იმ დროს, როცა ბოლგარეთის საქმე გამოიწვევს სახელმწიფოთა შეტაკებას...

ნამდვილად არც გამოურკვევიათ თუ, —რამდენად მოსახერხებელია რუსეთისა და საფრანგეთის შორის კავშირი. გაზეთი „Пет. Вѣд."-ი ამბობს: ამ კავშირს ხელს არ უნდა უშლიდეს ის გარემოება, რომ რუსეთი და საფრანგეთი სხვა-და-სხვა წყობილების სახელმწიფონი არიან და შინაურს პოლიტიკაში მისდევენ სხვა-და-სხვა მიმართულებას.

# წვრილი ამბები

— გაზ. „Maniteur industriel"-ი ურჩევს თავის მკითხველებს, თუ გინდათ, რომ ჩითეულობასა და სხვა-და-სხვა ბამბეულობას ცეცხლი არ წაეკიდოს, შემდეგი საშუალება იხმარეთო. აიღეთ ცოტაოდენი მჟავე ამონიაკის ფოსფორული მარილი (le phosphate d'ammoniaque), მიუმატეთ ათი იმდენი წყალი და ფარდები, სუფრები, და სხ. ამ წყალში ამოავლეთ; გაჭირეთ შიგ იმ დრომდე, ვიდრე კარგად დასველდებოდეს, შემდეგ ამოიღეთ, კარგად გასწურეთ და გააშრეთ. ამ გვარად მომზადებული ჩითეულობა არ დაიწვის, ცეცხლის ალზედაც რომ გაჭიროთ; მხოლოდ დანახშირდება ისე, რომ ალს არ მოიკიდებს. ნახმარი ჩითეულობა-კი ჯერ უნდა გაირეცხოს და გაიწმინდოს კარგად და შემდეგ ამოივლოს ამონიაკის წყალში. ზემოხსენებულს წამალს ერთი ნაკლი აქვს: ამონიაკის წყალში ამოვლებული ჩითეულობა და ბამბეულობა ძალიან იკიდებს მტვერსა და ჭუჭყს და ხშირად უნდა მისცეთ ხოლმე გასარეცხადაო.

— შვეიცარიაში ამ ჟამად დიდი ბაასი და ლაპარაკია ატეხილი დედათა განათლებაზედ. განზრახვა აქვთ, რომ პროფესიონალური ინსტიტუტი დააარსონ, რომელშიაც კარგად მომზადდებიან მომუშავე და ხელ-მოსაქმე ქალები, თერძას ხელობას შეისწავლიან და საჭირო აღარ იქმნება, რომ უცხო-ქვეყანაში მომზადებული ტანთ-საცმელი მოვიპოვოთ ხოლმეო. ამ მხრივ შვეიცარიაში მშვენიერა ჩითეულობა, მატყლეულობა და აბრეშუმი მოდის და არა უჭირთ-რა. ეს თერძი-ქალები რამდენისამე ხნით უნდა გაგზავნოს მთავრობამ პარიჟსა, ვენასა და ბერლინში, რათა ადგილობრივვე შეისწავლონ ახლად შემოღებული ტანთ-საცმელი. ინსტიტუტი ორს განყოფილებად უნდა იყოს. პირველს განყოფილებაში პრაქტიკულად უნდა მოამზადონ ქალები და მეორეში თეორიულად. პრაქტიკულად ასწავლიან მაშინაზედ კერვას, თერძის ხელობას, ქსოვას, ფეიქრობას, ოჯახში საჭირო ხელ-საქმის გაკეთებას, საჭმელების ხარშვას და სხვა; თეორიულს განყოფილებაში-კი ქალებმა უნდა ისწავლონ ხატვა, სხვათა ენები, მათემატიკა, ბუნებას მეცნიერება, ჰიგიენა და ავადმყოფების მოვლა-პატრონობა.

— ინგლისშიაც სხვა ხელ-საქმე უპოვნიათ ქალებისათვის. ლონდონის პოლიციის უფროსისათვის ურჩევიათ: კარგი იქმნება, რომ ჩუმა-მეძიებლად პოლიციაში დედანიცა ჰმსახურებდნენო. ქალები უფრო მოხერხებულები არიან მაგ შემთხვევაში და უფრო ადვილადაც მიუვათ ყველა ავაზაკთა და ბოროტ-განმზრახველთ ქალებზედ გული, ვიდრე კაცებზეო. პოლიციის უფროსს უპასუხნია, რომ ვიფიქრებ, კარგად მოვასაზრებ და ჩემს აზრს ისე შევატყობინებთ მაგ წინადადების თაობაზეო. განზრახვა აქვთ, რომ ჩუმა-მეძიებლად ლამაზი და ნასწავლი ინგლისის ქალები ამოირჩიონ, რათა უფრო ადვილად შეასრულებენ მათდამი მინდობილს საქმესაო.

ინგლისის მთავრობას კარგი რამ მოუფიქრებია; თქმა არ უნდა, რომ ქალები უფრო მოხერხებულნი არიან ამ გვარს საქმეებში და ადვილადაც მოინადირებენ ავაზაკისა და ბოროტ-განმზრახველის გულს, მაგრამ ერთი რამ-კი დავიწყებიათ. ეს ერთი რამ ჭორია და ცილის-წამება. ვინ არ იცის, რომ ქალები საზოგადოდ ტყუილ ფესის ხმას ძალიან ჭყვებიან, რწყილს აქლემს აშობინებენ ხოლმე და ამ მხრივ-კი, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სასურველია, ქალებმა ზემოხსენებული საქმე ითავონ, რადგან მოსალოდნელია, რომ ხშირად შეიყვანენ მთავრობას შეცდომაში და უბრალო კაცს, ცილდაწამებულს ტყუილ-უბრალოდზე აურ-ზაურს ატეხენ. მაგრამ იქნება ინგლისის ქალები ჩვენს ქალებს არა ჰგვანდნენ, ვინ იცის...

— მოხერხებულობაში-კი რომ სთქვას კაცმა, ინგლისის ქალებზე, თუმცა მათს ჩუმა-მეძიებლობას და პოლიციაში გამწესებას არიან მოწადინებულნი, ამერიკის ქალები უფრო ეშმაკები და მოხერხებულები უნდა იყვნენ. მაგალითებრ, ამერიკაში ბრილიანტებსა და სხვა ძვირფასს თვლებზე ბაჟია დაწესებული 10%-ი. ამ მიზეზით კონტრაბანდა ძალიან არის თურმე ამერიკაში გავრცელებული. ამერიკის დედათ თითქმის ყოველ გვარი საშუალება იხმარეს თურმე, რომ როგორმე გაეტარებინათ ბრილიანტები და ძვირფასი ქვები საბაჟოზე მოხელეთა და დარაჯთა შეუმჩნევლად, მაგრამ რომ ვერა მოახერხეს-რა, ახალს საშუალებას მიჰმართეს. აი ეს ახალი საშუალება: აკეთებინებენ ხელთ-ქმნილს კბილებს, რომლის ღრმილებიც ფუყეა, ცარიელი და ამ ღრმილებში ბრილიანტის ძვირფასს ქვებს ასმევინებენ. ამ ხერხით დიდხანს გაჰქონდათ თურმე ბრილიანტები საბაჟოზე თვალ-ფხიზელთა დარაჯთა შეუმჩნევლად, მაგრამ ეხლა ეს ეშმაკობაც გაუგიათ ამერიკელ ქალებისა და ამიერიდგან, მეტი ღონე არ არის, სხვა ხერხს უნდა მიჰმართონ. ამას წინად საბაჟოს მოხელეთ დაუპატიმრებიათ ერთი მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ღრმილებში 1,000,000 მან. ბრილიანტი ჰქონდა თურმე შენახული.

— ერთს ინგლისის მწერალს, სახელად დავით ანდერსონს, აჩირებული აზრი მოსვლია. განუზრახავს, რომ მეჟურნალეთა და მეგაზეთეთა სასწავლებელი დააარსოს და ამ სასწავლებლის შეგირდებს ჟურნალსა და გაზეთზე მუშაობა ასწავლოს. თითოეული შეგირდი ამ სასწავლებელში სწავლის ფასს 1,000 მან. უნდა იხდიდეს. ანდერსონი ჰპირდება თურმე მოსწავლეთ, რომ გასწავლით მეთაურ წერილების წერას, ახალ ამბების შედგენას, რეპორტიორობას; მე გამოვიცნობ, თუ რომელს მოსწავლეს რომლის საქმისათვისა აქვს ნიჭიო, ერთის სიტყვით, ისე კარგად მოგამზადებთ ამ საქმისათვის, რომ შემოსავალი თვეში 60—200 მანეთამდე გქონდეთო. თუ ყველა მოსწავლე ნიჭიერი არ იქმნება, ამაში მაინც სიტყვას გაძლევთ, რომ თავისი ხელობა

კარგად ეცოდინებათ. ანდერსონი ხარლზ დიკენსის შეგირდია და ოც-და-ათი წელიწადი უმრომნია და უმუშავნია ლონდონის სხვა-და-სხვა ჟურნალებსა და გაზეთებში: „Examiner"-სა, „Weecly"-სა, „Dispatsck"-სა და „Daily Telegraph"-ში.

— გაზ. „Schlesische Zeit."-ი ერთს მშვენიერ ამბავს გვიამბობს ჭერცოგ კარლა-თეოდორის ბავარელზედ. ამ ჭერცოგმა ტეგერნზეეში საავადმყოფო გაჰმართა ღარიბებისა და ხელ-მოკლეთათვის, სწამლობს ავადმყოფთ და განსაკუთრებით-კი თვალით ავადმყოფებს არჩენს. საკსონიის პროვინციაში ერთს ღარიბ მასწავლებელს ყელი დაუსივდა და თუმცა ბევრი უქიმეს და უწამლეს, მაგრამ ვერაფრით მოარჩინეს. ბოლოს საბრალო მასწავლებელმა ჭერცოგს მიჰმართა. ჭერცოგმა მიუნჭენიდამ გამოიწერა თურმე ყელის სატკივრის ექიმი და ორს თვეზე ფეხზე დააყენა მასწავლებელი. როცა მასწავლებელი გამოემშვიდობა ჭერცოგს, ექიმის გასამრჯელოზე ჩამოაგდო თურმე სიტყვა, მაგრამ ჭერცოგმა სიტყვა აღარ დაასრულებინა, მეგობრულად დაჰკრა მხარზედ ხელი და ღიმილით უთხრა:

— „წადი, წადი, ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს. ფეხზედ ნურა განაღვლებს-რა ერთის რომელისამე ჭერცოგის ცოლს ვუწამლებ, მოვარჩენ და იმას გადავასხდევინებ შენს ვალსაო.

# დეპეშა

10 სექტემბერი

**სოფია.** მინისტრები: სტამბულოვი, ქოვკოვი და მუტკუროვი დაბად და სოფლად გადიან, რათა ხალხს არჩევანებზე ხელ-მძღვანელობა გაუწიონ.

**ბუდა-პეშტი.** გროს-ვარდეინს წარმოთქმულს სიტყვაში ტისსამ გამოაცხადა, რომ ძნელადღა თუ მშვიდობიანობა ევროპისა ჩქარა დაირღვეს, მაგრამ მაინც კიდევ ავსტრი-უნგრიამ იარაღი არ უნდა აიყაროს და უფრო-და-უფრო საომარ ფეხზედ უნდა დააყენოს თავისი ჯარები.

**პარიჟი.** ოფიციოზური გაზ. „Temps"-ი ამბობს შნებელეს საქმეზედ: თუმცა შნებელეს საქმეს თავის თავად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო ორივ მთავრობისათვის სასურველი არ არის, რომ საზღვრებზე ყოველთვის ასეთი გულ-ასამღვრევი ამბავი მოხდეს ხოლმე. ამიტომ კარგს იზამდნენ ეს მთავრობანი, რომ საზღვრებზედ კეთილ-გონიერი და გონება-დამჯდარი მოხელეები დაჰნიშნონ ხოლმე.

ხმა გავრცელდა, რომ დედოფალი ვიქტორია დათანხმდა და იტალიასა და აბისსინიას შორის შუა მავლობა იკისრაო.

11 სექტემბერი

**პეტერბურგი.** 1-დამ 24 სექტემბრამდე პეტერბურგისა და მოსკოვის საკომერციო ბანკში გამოიცვლება ხუთ პროცენტიანი ობლიგაციები კოზლოვო-ვორონეჟ-როსტოვისა და ორლოვო-გრიაზის რკინი-გზისა ოთხ პროცენტიან ობლიგაციებზე.

**ლონდონი.** ინგლისელი კომისარები, პიკოკი და იეტი, რომელთაც უნდა ადგილობრივ გამოარკვიონ რუსეთისა და ავღანისტანის მიჯნა, გუშინ სტამბოლიდამ წავიდნენ ავღანისტანის საზღვრებისაკენ.

**სიმლა.** ხმა ისმის, ვითომც ეიუბხანი დაიჭირეს კაინს, სპარსეთში.

**ბერლინი.** ოფიციოზური «Politische Nachrichten", რომელსაც თითქმის ნამდვილი ჰგონია. ვითომც რუსეთი დღე-დღეზე ისესხებს ფულს პარიჟში, ურჩევს გერმანელ პატრონებს რუსეთის ფონდებისას, რომ შემთხვევა არ გაუშვან ხელიდამ და მოგებით გაჰყიდონ.

## „ივერიის" ფოსტა

**კაკკაგი, ბ-ნს ქ...ლს ოს...** თქვენგან ამ ერთის ლექსის მეტი სხვა არ მოგვსვლია-რა. ცალკე არ დაიბეჭდება ესა. როცა ძრიელ ბევრი შესდგება, მაშინ შიგ-ამორჩევით იქნება დაიბეჭდოს ზოგ-ზოგი. რაიცა შეეხება თქვენს კორრესპონდენციებს, დიდად მადლობელი გახლავართ. უნდა მოგახსენოთ, რომ რედაქცია დიდის ყურადღებით კითხულობს თქვენს ნაწერებს. იბეჭდება მხოლოდ ისა, რაც საინტერესო იქნება ქართველ მკითხველთათვის და რის დაბეჭდვაც შესაძლოა. ყოველ კორრესპონდენციის თაობაზე რედაქცია ვერავისთან ვერ გაჰმართავს მიწერ-მოწერას უდროობის გამო. იმედი გვაქვს, რომ ამას იქითაც არ მოგვაკლებთ ცნობებსა თქვენის უბნიდამ.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუჲზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

სექტემბერი 30 დღით არის.

**12 დღე შაბათი.** წმ. მოწ. ავტონომისა და თეოდორესი. სომეხ. წინადღესასწაული. ნავაკატიქი. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—შეუიარაღებელი ტფილისი დაიპყრო აღა-მაჰმად-ხანმა, მტკვრის ქვითკირის ხიდი დაანგრია, სამეფო სასახლე მოაოხრა და ცეცხლი წაუკიდა დიდ-ძალი მცხოვრებელი წაიყვანა ტყვედ ტფილისისა და მცხეთიდგან და წავიდა შუშისაკენ, 1795 წ.—გამოიცა მანიფესტი იმპერატორ ალექსანდრე I-სა, რომლის ძალითაც საქართველოს მთავარ-მართებლად ინიშნება გენერ.-კნორრინგი 2-რე, 1801 წ.—დაარსდა ამიერ-კავკასიის სამოსწავლო სემინარია გორში, 1877 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 5—49, ჩადის 5—55. მთვარე 8 დღისაა.

**13 დღე კვირა.** განახლება ტაძრისა ქრისტეს აღდგომისა. წმ. დიდ-მოწ. ქეთევან დედოფლისა. კათოლ. წმ. ღვთის მშობლისა. სომეხ. ხაჩვერაც (ამაღლება ჯვარისა).—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 5—53. მთვარე 9 დღისაა.

**14 დღე ორშაბათი.** ამაღლება წმ. უფლის პატიოსანის ჯვარისა. მარხვაა. კათოლ. ამაღლება წმ. ჯვარისა. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი (საფლავებთა კურთხევა). მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 5—51, ჩადის 5—51. მთვარე 10 დღისაა.

**15 დღე სამშაბათი.** დიდ-მოწ. ნიკიტასი. ღირსისა აბბა იოსებისა ალევერდ. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 5—54, ჩადის 5—18. მთვარე 11 დღისაა.

## გამოსაღები ცნობანი

### ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარისხ. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი | 13 | › |
| ცხვრის ხორცი | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის | | გადის | | სტანციები | მოდის | | გადის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საათ. | წამი. | საათ. | წამი. | | საათ. | წამი. | საათ. | წამი. |
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


## კერძო განცხადებანი

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ილილა და დამანა. ვახტანგ მეე-ქვსისა | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხხუბარიძისა | › | 50 |
| ციკო, მისივე. | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. | › | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. | › | 15 |
| ზაფხული, ჯუღელის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. | › | 15 |
| ქართული ანდაზები. | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა | › | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა | › | 30 |

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

**II**

**დავით გურამიშვილი**

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—10)


Доз. цен. Тиф. 11 сентября 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე